№ 133 1 ენკენისთვე, ხუთშაბათი 1866—1877 1 ენკენისთვე, ხუთშაბათი № 133

ᲧᲝᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მაგრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲝᲗᲮᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

1 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲛ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲔ

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ᲤᲐᲡᲘ ᲝᲗᲮᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ—4 ᲛᲐᲜ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ“

თფილისს გარდა შემდეგ ქალაქებში ისყიდება კიდეე:

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: სვიმონ ჩომახიძესთან, ტიპოგრაფიაში, ბულვართან,

ᲑᲔᲭᲐᲗᲣᲑᲐᲜᲨᲘ—სტანციის ბუფეტში,

ᲮᲐᲨᲣᲠᲨᲘ (მიხაილოვში)—სტანციის ბუფეტში და

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ—თუმანოვის მაღაზიაში.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

(ოფიციალური)

ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲜᲘ, 30 აგვისტოს. ბუშინ, გუშინასწინა და დღეს თითქმის გაუწყნარებელი სროლა გვაქვს პლევნის ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯართან. ბუშინ ჩვენ 700 საჟენზედ მივსწიეთ ჩვენი ბატარეები და დღისითა და ღამით მუდამ სროლა გვქონდა. დღეს ღენერალ სკობელევის ჯარმა დაიჭირა პლევნასთან ერთი მთა, რომლიდამაც უფრო მარჯვეთ ვესვრით მტრის ბანაკისაკენ ყუმბარებსა.

სხვა ადგილებზე ყველგან მშვიდობიანობაა.

ლოვჩის აღების დროს ჩვენ ორი დროშა წავართვით მტერს და ბევრი სამხედრო მასალები. ჩვენ დავასაფლავეთ 2,200-მდინ დახოცილი ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ სალდათი. ჩვენის მხრით კი 1,000-ზედ მეტი არ არის დახოცილი.

ᲧᲐᲠᲐᲘᲐᲚᲘ, 28 აგვისტოს. ღამით, 26 აგვისტოს ჩვენი ცხენოსანი ირრეგულიარული ჯარის „ახოტნიკები“ დაეცნენ მუხთარ-ფაშის ცხენოსანი ჯარის ბანაკსა, 60 კაცი დახოცეს, რამდენიმე ცხენი წამოიყვანეს და თოფებიც წაართვეს მტერს; როცა უკან დაბრუნებულებს მტერი გამოედევნა, წინ დაუხვდა ჩვენი დაღესტნის ცხენოსანი პოლკი და აქაც დიდი ზიანი მისცეს მტერს.

ჩვენის მხრით დაჭრილი არის 11 მილიციონერი და სალდათი.

— 22 აგვისტოს ᲭᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ატრიადს სროლა აუტყდა მტერთან და ამ სროლის დროს დაიჭრა მეორე მსროლელთა ბატალიონის კამანდირი პოლკოვნიკი მაკეევი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 27 აგვისტოს. აქაურს გაზეთებში დაბეჭდილია ᲑᲝᲠᲜᲘ-ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲘᲫᲓᲐᲛ 24-ს მიღებული შემდეგი ტელეგრამმა:

„ლოვჩის ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ გარნიზონი, რომელსაც 7,000 კაცი შეადგენდა, გუშინ 22,000 რუსის ჯარმა დაამარცხა. წინა ღამეს ღენერალ სკობელევმა იერიშით აიღო ერთი სიმაგრე ლოვჩისა და ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარი ამ ქალაქში გაიქცა; მეორე დღეს, გათენებისას, გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘ იძულებული იყვნენ ქალაქი დაეთმოთ რუსებისათვის და გაქცეულიყვნენ.

ᲠᲝᲢᲐᲠᲓᲘᲛᲘ, 27 აგვისტოს. დუშინწინ ჩვენი ატრიადი მოუახლოვდა პლევნას; ღამით გამართა ბატარეები იმ მთებზე, რომელნიც ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ვამაგრებულ ალაგებს გარს-არტყია და 26-ს მთელი დღის განმავლობაში სროლა იყო.

დღეს, 27 აგვისტოს აგრეთვე გაუწყნარებელი ზარბაზნის სროლა არის ჩვენსა და პლევნაში გამაგრებულ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარს შუა. ბუშინ ჩვენის მხრით 500 კაცია მოკლული და დაჭრილი; ამაზე ნაკლები ზიანი არც ოსმალებს მიეცათ. ჩვენი ჯარი 700 საჟენზე მნუახლოვდა პლევნას.

ᲠᲐᲒᲣᲖᲐ, 28 აგვისტოს. ბუშინ ნიკშიცის ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ გარნიზონი დაემორჩილა ჩერნოგორიელებს, რომელთაც ამნაირად აიღეს ციხე ნიკშიცი. ბარნიზონს ნება მიეცა, რომ თოფ-იარაღით გასულიყო ამ ციხიდამ. ჩერნოგორიელებს დარჩათ 20 ზარბაზანი და ბევრი სამხედრო მასალა.

ᲞᲐᲠᲘᲫᲘ, 28 აგვისტოს. დღეს დაასაფლავეს აქ ტიერი. ამ დროს არავითარი უწესობა და არეულობა არ მომხდარა. მიცვალებულის კუბოს უანგარიშო ხალხი მისდევდა. სასაფლაოზე რამდენმამე გამოჩენილ პირმა სიტყვა წარმოთქვეს; ᲭᲣᲚ ᲑᲠᲔᲕᲘᲗ, სხვათა შორის, სთქვა, რომ ტიერმა დასთმო თავის მონარხიული რწმუნებანიო და გულ-წრფელად შეეერთდა რესპუბლიკას, რადგან დარწმუნდა, რომ ამ ჟამად საფრანგეთში მხოლოთ რესპუბლიკურ მმართებლობის ფორმას შეუძლია არსებობაო.

ᲑᲣᲮᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 28 აგვისტოს. ბოლგარიის ჯარი, შიპკოსთან ბრძოლის დროს ერთობ გაილახა; სულ 2,000 კაცის მეტი არ გადარჩენილა იმათგან. ხელ-ახლად ავროვებენ ბოლგარიელების მილიციას ტირნოვოში.

რუსულ გაზეთს „ᲐᲮᲐᲚ ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ“ დაბეჭდილი დეპეშა ამბობს, რომ ᲝᲡᲛᲐᲜᲤᲐᲨᲘᲡ ჯარი პლევნასთან რუსის ჯარებით არის გარ-შემორტყმულიო და თან-და-თან უახლოვდებიან ჩვენები პლევნასაო.

ᲐᲗᲘᲜᲐ, 29 აგვისტოს. საბერძნეთის მინისტრებს მოლაპარაკება ჰქონდათ

რუსეთის წინადადებაზე, რომ ერთად იძოქმედონ ოსმალეთის ქრისტიანების დასაცველად, ამბობენ, რომ რუსეთი და საბერძნეთი, ამ საგნის შესახებ, დათანხმდნენ ერთმანეთშიო.

ბელგრადი, 28 აგვისტოს. სერბია გაცხარებით ემზადება საომრად; იმას აქვს 80,000 ახალი სისტემის თოფი და 460 ზარბაზანი. ინგლისის ელჩი ურჩევს და აშინებს სერბიის მთავრობას, რომ ომში მონაწილეობა არ მიიღოს; მაგრამ ინგლისს აქ გავლენა აღარა აქვს.

ყარაიალი, 29 აგვისტოს. ტყუილია ის ერთი ბერლინის გაზეთს „Post“-ში დაბეჭდილი ამბავი, ვითომც ჩვენ მიგვეტოვებინოს ბარტაანი; პირიქით ბარტაანი ეხლა უფრო გამაგრებულია ჩვენგან, ვიდრეო აქამდინ იყო.

ოსმის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

ოზურგეთი, 26 აგვისტოს („დროების“ კორრესპონდ.). ბუშინ ჩვენ ქალაქში გავრცელდა ხმა, ვითომც აქ მყოფს ჩვენი ჯარის უფროსს მუხა-მესტატედამ მოსულოდეს ამბავი, რომ სამის მხრითა მოადგნენ მუხა-მესტატეს ოსმალლებიო.

ჩვენ არ ვიცით—ნამდვილია ეს ამბავი თუ არა.

ბუშინ საშინელი სროლა იყო მუხა-მესტატესაკენ; ნამდვილად არა ვიცით-რა—ვინ ატეხა ეს სროლა და ან როგორ გათავდა საქმე.

ჩვენი ქალაქის მცხოვრებნი ძალიან შეშინებული არიან ამ გვარის ხმებისაგან.

ვ. ბ—ძე

ოზურგეთიდამვე გვწერენ, რომ აქ დარწმუნებითა ამბობენო, ვითომც მომეტებული ნაწილი იმ ოსმალოს ჯარებისა და აგრეთვე აფხაზებისა, რომელნიც სოხუმიდამ გავიდნენ, სულ ბათუმში, და ციხის-ძირზე გამოვიდნენო.

თუ ეს ამბავი მართალია, (და ჩვენ საეჭველი არა გვაქვს ჩვენს კორრესპონდენტს არ დაუჯერონ), მაშინ ადვილად გასაგებია ის ზემოხსენებული გარემოებაც, რომელსაც ჩვენი ოზურგეთელი კორრესპონდენტი გვწერს, რომ მუხა-მესტატეს სამის მხრით მოადგნენ ოსმალოს ჯარებიო. საფიქრებელია, რომ მარჯვენით, ზღვის მხრით, ოსმალოს ჯავშნიანი ხომალდი მოადგებოდა, პირდა-პირ—ხუც-უბნიდამ და მარცხნივ—ტალახას მთიდამ.

—

13 აგვისტოს რომ ოსმალოსა და ლორის-მელიქოვის არმიებს შეტაკება ჰქონდათ, ამ შეტაკების თაობაზე ოსმალოს ჯარის მთავარ-სარდალს მუხთარ-ფაშას აი როგორი დეპეშა გაუგზავნია სტამბოლში:

„დიდი ბრძოლა გვქონდა გუშინ, 13-ს ყარსის ბარზე. ბიდიკლერის მახლობლად ჩვენ დავეცით ციზილის მთას და კიდეც დავიჭირეთ ღამით პარასკევს.

„მეორე დღეს, შაბათს, 13-ს, პალდირიანიდამ გამოვიდა რუსის ჯარი იმ განზრახვით, რომ ეს მაგარი ადგილი წაერთმია ჩვენთვის.

„შეიქნა გაცხარებული ბრძოლა, რომელიც გათენებიდამ საღამოს 5-ს საათამდინ არ შეწყვეტილა. მთელი ყარსის ბარი ბრძოლის ველად გადიქცა. 200 ზარბაზანი იყო მოქმედებაში ჩვენისა და იმათის მხრით.

„სამჯერ მოვიდნენ ციზილ-ტაფაზე ივრიშით რუსები, მაგრამ სამივეჯერ უკუ-ვაქციეთ. ბრძოლის ველი ჩვენს ხელში დარჩა.

„ამ ბრძოლაში რუსების მხრით უკანასკნელი 3,000 კაცი იქნება მოკლულ-დაჭრილი. ჩვენის მხრით 1,200 კაცია სულ დახოცილი და დაჭრილი; ღენერალი ალი-ფაშა და ერთი პოლკოვნიკი მსუბუქად არიან დაჭრილნი. მუხთარ-ფაშის ცხენი მოჰკლეს.

პარიჟულმ გაზეთი „Le Temps“, რომლიდამაც ჩვენ ეს ტელეგრამა ამოგვაქვს, ამბობს, რომ

„თუმცა ეს რიცხვი რუსის ზიანისა უეჭველია, გაზვიადებული უნდა იყოს, მაგრამ ეს კი მართალია, რომ ამ გამარჯვებას სტამბოლში დიდს მნიშვნელობას აძლევენ. ამას გვიმტკიცებს სხვათა შორის, ლონდონის გაზეთის „Standard“-ის სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა.

იგივე ფრანცუზული გაზეთი გვაცნობებს, რომ ხონთქარმა ტელეგრამა გაუგზავნა მუხთარ-ფაშას და მიულოცა მას 13-ს აგვისტოს რუსების დამარცხებაო.

—

დიდის მთავარს კავკასიის არმიის მთავარ-სარდლის განკარგულებით, ელისავეტპოლის ღუბერნატორი ო. ნ. ბაქუნაძე დანიშნება ამ ღუბერნიაში მყოფის ყველა ჯარების უფროსად.

ამავე ბრძანების ძალით, ღენერალ-ლეიტენანტი ოზროეანი და ღენ.-მაიორი ჩერნიაევი, რომელნიც უმაღლესის ბრძანებით არიან დიდის მთავრის განკარგულებაში გამოგზავნილნი, ჩაირიცხებიან მთავარ კვარტირის წევრთა შორის.

—

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია შეკვეთილიდამ (ნიკოლაევსკიდამ) 25 აგვისტოს მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ჩვენი ცეცხლის-გემის „კოსტანტინეს“ ლაღმიან ნაგებს არ დაუღუპავს სოხუმთან ოსმალოს ჯავშნიანი ხომალდი, არამედ მხოლოთ ცოტა ოდენი ზიანი მისცეთ და ბათუმში წაიყვანეს გასაკეთებელათაო.

ევროპის ბრძოლის ველიდამ

ბორნი სტუდენიდამ მოსულს ოფიციალურს დეპეშაში იწერებიან 19 აგვისტოს, რომ რადგან შიპკოს გასავალში რუსის ჯარებს კიდევ ახალი ჯარები მოეშატათ, ამის გამო ახლა შიში აღარ არსებობ, რომ ეს ხეევ სულეიმან-ფაშამ წაგვართვასო.

—

ესვე ტელეგრამმა ამბობს, რომ შიბკოსთან ბრძოლის დროს, შვიდი დღის განმავალობაში, ჩვენის მხრით დაჭრილებისა და მოკლულების რიცხვი არის 132 ოფიცერი და 4,722 სალდათი. ოსმალეთის მხრიდამაც, როგორც იწერებიან, 5,000 კაცამდინ არის სულ დაჭრილ-დახოცილები.

—

ვენის გაზეთს „Correspondenz Jureau“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 22 აგვისტოდამ:

„პლევნის გარშემო დაბანაკებული რუმინიის და რუსის ჯარები რუმინიის მთავრის ქარლის ხელ-ქვეეთ არიან. მთელი რუმინიის არმია გადავიდა ღუნაიზე ძარაბიასთან. მთავარი სამხედრო კვარტირა რუმინიის მთავრისა პორადიმშია.

—

უცხო ქვეყნის გაზეთებში, სხვათა შორის „Journal de Genève“-ში დაბეჭდილია სტამბოლიდამ 23 აგვისტოს მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ სილისტრიასთან დაბანაკებული ოსმალოს ჯარი ღუნაიზე ხიდს აკეთებს იმ განზრახვით, რომ ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე რუმინიაში გადაიყვანოს ერთი ნაწილი თავის ჯარისა და ამნაირად უკანიდამ მოუაროს რუსისა და რუმინიის ჯარსაო.

რუსის გაზეთები, ამავე გარემოების შესახებ, ამბობენ, რომ რუმინიისა და ჩვენ სამხედრო მთავრობას ყოველგვარი ღონის-ძიება აქვთ მიღებულიო, რომ ოსმალეთმა ვერ შეიძლოს ღუნაის მარცხენა მხარეზედ თავის ჯარების გადაყვანაო.

—

ლონდონის გაზეთს „Daily News“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 17 აგვისტოს ვენიდამ მიღებული:

„ბრძოლის ველიდამ დღეს სალამოს მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ სულეიმან-ფაშა დარწმუნდაო, რომ შიპკოს გასავალის აღება პირ-და-პირ (ფრონტით) შეუძლებელი არისო; ამის გამო იმნ გადაწყვიტაო, რომ იქ სოფ. შიპკოსთან და ხანკიოისთან გაამაგრონ ადგილები, დასტოეოს აქ რამდენიმე ჯარი და თვითონ კი სხვა გასავალით გადაიაროს ბალკანის მთებზედ და მეორე მხრით სამხრეთით დაუაროს რუსებს.“

—

ბაზეთის „Times“-ის კორრესპონდენტი იწერება ბუხარესტიდამ 17 აგვისტოს:

„ამ ჟამად აქ მთელი ყურადღება პლევნაზედ არის მოქცეული, სადაც ოსმან-ფაშა ძლიან გამაგრებულია, რადგან ამ დღეებში იმას მოუვიდა ახალი ჯარი სულეიმან-ფაშის კორპუსიდამ და აგრეთვე ზარბაზნები ვიდინიდამ. ოსმან-ფაშამ ახალი ციხეებით, ლოჟმანტებით და ტრანშეებით გაამაგრა თვითონ პლევნა და იმის გარშემო ადგილები. რუსები, უეჭველია, დიდ-ძალ ჯარს მიაყენებენ პლევნას ასაღებათ და ოსმან-ფაშის გამჭრიახობაზე და ოსმალოს ჯარს მხნეობაზე იქნება დამოკიდებული—გაუძლებენ კიდევ ისინი რუსის მხნე ჯაგრს, თუ დაუთმობენ ამ სტრატეგიულის მხრით შესანიშნავ ციხე-ქალაქს.“

—

სტამბოლიდამ მიღებული ამბავი გვაცნობებს, რომ ოსმან-ფაშას პლევნასთან ამ ჟამად 75,000 კაცი ჯარი ჰყავს და 200 ზარბაზანი აქვს სხვა-და-სხვა გამაგრებულ ადგილებზე დაწყობილი.

—

რუსულ გაზეთს „ბირჟის უწყებებში“ დაბეჭდილია ბუხარესტიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც შემდეგი ცნობა არის მოყვანილი:

„ორასი ათასი კაცი ოსმალოს ჯარი სამი თვის განმავალობაში, ინგლისის წყალობით, თითქმის ექვსას ათასად გადაიქცა. თოფებს, ტყვია-წამალს, ზარბაზნებს—ყველაფერს ბლომათ აძლევენ ოსმალოებს ინგლისელები. ყველა ყუთებზე, რომლითაც სხვა-და-სხვა სამხედრო იარაღები მოუტანიათ ოსმალოს ბანაკში, ინგლისის ბეჭედი ასვია. მე თვითონ ვიწექი ერთს წართმეულ ბამბის-კარავში, რომელზედაც „ლონდონი“ აწერია. ოსმალოს ტყვეები გვარწმუნებენ, რომ მარტო ოსმან-ფაშას არმიაში 500 უცხო ქვეყნელი აფიცერი არისო.“

—

ფრანცუზულს გაზეთს „Le Temps“-ში გადმობეჭდილია ლორდ დერბისთან წარდგენილი მოხსენება დუნაის რუსის არმიაში მყოფის ინგლისის აგენტის პოლკოვნიკის შელსლეისა, იმის შესახებ—თუ როგორ ექცევიან ერთმანეთს ბრძოლის დროსა და მშვიდობიან მცხოვრებლებს ოსმალეთისა და რუსის ჯარები.

ამ მოხსენების საზოგადო ჰაზრი ის არის, რომ როგორც ოსმალეთის რეგულარი ჯარები, აგრეთვე რუსეთის ჯარები ძალიან კარგათ იქცევიანო, არავითარს მხეცობასა და უწესოებას ეს ჯარები არ სჩადიანო. მაგრამ მაგიერად ოსმალოს ბაშიბუზუყები და ჩერქეზები და აგრეთვე რუსის (ყაზახები) და განსაკუთრებით ბოლგარიელი მილიციონერები ძალიან ბევრ მხეცობას, სამაგლობას და უწესოებას ახდენენო.

საქართველო

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 25 აგვისტოს. დიდი ხანი არ არის, რაც აქ დავიწყე ცხოვრება; ეს ჩემი დიდი ხნის ფიქრი და სურვილი იყო, რომელსაც ძლივ მოვეწიე.

ვის გულსა და თვალს არ შეიპყრობს ეს სადათ მაღლობზე აშენებულნი სახლები? ვის არ მოიყვანს აღტაცებაში გარეშემო მათ შემორტყმული ტყე, რომელშიაც ჩამოჩხრიალებენ მკურნავი წყაროები და აგრილებენ კაცის სიცხისაგან დამწვარ გულს! ამ სურათით აღტაცებული ჩემ ფიქრით ვამობდი:

„— რა ბედნიერ ცხოვრებაში ჩავარდებოდი, რომ აქ დავსახლებულიყავ! აქ მცხოვრებლებიც იმისთანა მშვენიერნი და შემკულნი უნდა იყვნენ, როგორც მათი ბუნება!

და მიხაროდა, რომ მეც მათ შუა დავიწყებდი ცხოვრებას, გავმშვენიერდებოდი და შევიმკობოდი სხვა და სხვა ძვირფას ხარისხებით.

მაგრამ, ცოტა ცხოვრების და მათთან მცირედი შეტაკების შემდეგ, ჩემ-და საუბედურო, სულ წინაალმდეგი სურათები დავინახე აქ.

ხალხი, რომელიც დაჯილდოებულია ყოველის საცხოვრებელ ღონისძიებით, თითქო ის ხალხი უფრო ზარამაცი და გაუტანელი უნდაიყოს იმ ხალხზე, რომელსაც არა აქვს რა თვალწინ საცხოვრებლათ.

ამ კანონის ძალის ნიშანს ვხედავ ჩვენ თელავის მცხოვრებლებში: მე ვერ შევამცნიე ჩვენ საზოგადოებაში რომელიმე კავშირის ნიშანი, რომელიც აყენებს ერთ ინტერესზე: აქ ყოველი კომლი, ყოველი პირი ჩაღრმავებულია თავის ფიქრში, მხოლოდ მაშინ განიღვიძებს, თუ პირადი სარგებლობა შეხვდება; ორნი ერთათ ერთსა და იგივე საქმეს ვერ შეუდგებიან, არამთუ დააბოლოვონ, და თუ მოჰკიდეს ხელი, აღმოჩნდება ერთი ვინმე მაღალი პირი, რომელიც იქადაგებს, რომ უსვინიდისო და გასარყვნელ საქმეს ჰკიდებენ ხელსაო და იმითი ცდილობს დაარღვიოს...

ამ მოკლე ხანში ჩვენი ახალგაზდობა აპირებდა თეატრის წარმოდგენის გამართვას ბრძოლის ველზე დაჭრილებისა სასარგებლოთ. აბა იფიქრეთ, წარმოდგენის გამართვა რა არის, მეტადრე იქ, სადაც ახალგაზდა ქალი და ვაჟი ბლომათ იმყოფება! მაგრამ ისე გაუჭირდათ, გეგონებოდათ ახლანდელი აღმოსავლეთის საქმეების გაშინჯვა მათ მიანდესო.

აღმოარჩიეს ქნა ბარბარე ჯორჯაძის ჯერ დაუბეჭდავი კომედია „მ კ ი თ ხ ა ვ ი“, მოეწონათ და გადაწყვიტეს მისი წარმოდგენა; როლებიც კი დარიგებული იყო, მარტო გადაწერაზე მისდგა საქმე, რომლის აღსრულება ყმაწვილებს მიანდეს.

ბავიდა ორი თუ სამი დღე, რომლის განმავლობაში ყმაწვილები მინდობილობას აღსრულებდნენ. უეცრად გვესმის ორი ქალის როლის წარმომდგენელნი თფილისს მიდიანო. წავიდნენ, ჰკითხეს. პასუხად მიიღეს, რომ არ შეგვიძლიან ჩვენ მონაწილეობა მივიღეთო, რადგანაც ხვალ თუ ზეგ ქალაქში მივდივართო; მარამ ეხლაც აქ არიან... ბანა უნებურად დარჩნენ? არა, მარტო ჩაფუშვა უნდოდათ...

ყმაწვილებმა მიმართეს სხვა ქალებს; სთხოვეს, რომ იმ ორი ქალის როლი აეღოთ ვისმეს იმათგან; მაგრამ არც ერთმა არ იკისრა; ერთს მოჰყვანდა საბუთათ ის, რომ საზოგადოებას ვერ ვიცნობო, მეორეს—პატარა შვილები მყავსო, დრო არა მაქვსო როლი ვისწავლოო, მესამეს—გასათხოვარი ვარ და სცენაზე ვერ გამოვალო და სხ. და სხ. ასე ჯერ-ჯერობით ჩაიფუშა.

პირველი მიზეზი, რის გამოც ვერ მოხერხდა ჩვენში წარმოდგენა, ზემოაწერილს გარემოებებს უნდა დავაბრალოთ; მემრე შევიტყეთ, რომ არც ნებას გვაძლევდა კომედიის „მ კ ი თ ხ ა ვ ი ს“ წარმოდგენისას თელავის უფროსის თანაშემწე.

შემდეგ ზოგიერთ პირებმან კიდევ მოინდომეს ზევით-აღწერილის საქმის ასრულებაში მოყვანა. აირჩიეს იმისთანა კომედია, რომელშიაც ქალების როლის წარმომდგენელნი ცოტანი სჭირდებოდათ; სურდათ წარმოედგინათ ანტონოვის თხზულება „ბ ა ნ ა ბ ი ძ ი ა მ ც ო ლ ი შ ე ი რ თ ო?“, რომელშიაც სამი ქალის მეტი საჭირო არ იყო; ორი კი იშოვნეს, რომელთაგანაც ბოლოს დროს ერთმა თავში მოგვაგდო გადაწერილი როლი, მესამე კი ვერა. წავიდნენ „მ კ ი თ ხ ა ვ ი ს“ ავტორთან და სთხოვეს, რომ რადგანაც თქვენი კომედიის წარმოდგენა ვერ მოხერხდა, მას აღლა ერთ-ერთი როლი ახლად არჩეულ კომედიაში. აგრე თამამათ მიტომ მი-

მართეს, რომ ეს პირი საშინელი გულმოდგინეთ შრომობდა წარმოდგენის სასარგებლოთ და დასცინოდა იმ ქალებს, რომელთაც არა სურდათ მონაწილეობის მიღება; მაგრამ ისე უნუგეშოთ თქვენი მტერი დარჩეს, როგორც უნუგეშოთ ჩვენ გამოგვისტუმრა. მემრე იცით, რა მიზეზი შემოიტანა? ისითიეე უსაფუძვლო, როგორათაც იმათ, რომელთაც ის უწყალოდ დასცინოდა!

ზემო-მხრელი

განცხადებანი

ქერძო ორკლასიანი სასწავლებელი და პანსიონი ა. ჭიჭინაძისა ქ. ქუთაისში

1) სწავლა იწყება სეკტემბრის პირველ რიცხვიდამ და ჰგრძელდება ივნისს უკანასკნელ რიცხვებამდის, ისე-როგორც სხვა სასწავლებლებშია შემოღებული.

2) ვისაც სურს ამ სასწავლებელში ყმაწვილის შემოყვანა, უნდა მიიქცეს სასწავლებელის მზრუნველთან, რომელიც მიიღებს ყმაწვილებს აგვისტოს პირველ რიცხვებიდამ დაწყებული 15-ს სეკტემბრამდის. ამაზე გვიან ყმაწვილი აღარ მიიღება, თუ არ ეცოდინა ისიროაც მის საამხანაგო ბოვშვებს უკვე გაუვლიათ მის შემოსვლამდის.

3) შაგირდები განიყოფებიან ორად. ა) პანსიონერებად და ბ) მომსვლელებად:

ა) პანსიონერი ბინად იქნება სასწავლებელში, სადაც ექნება მას სწავლა, სასმელ-საჭმელი დაბან-დარეცხა და ექიმობა. დანარჩენნი საჭირო ნივთები: ტანსაცმელი, ფეხ-საცმელი, სახელმძღვანელო წიგნები და სხვა სამოსწავლო ნივთები უნდა ექნეს ყმაწვილს თავისა. წელიწადში პანსიდნერმა უნდა შემოიტანონ 250 მანეთი.

ბ) მომსვლელები დილას მოდიან კლასში, სადილობამდის სწავლულობენ იქ; ამისთვის იხდიან ისინი 40 მანეთს წელიწადში.

4) ფული უნდა იქნეს შემოტანილი ორ ნაწილად: პირველი ნახევარი ყმაწვილის შემოყვანისათანავე და მეორე იანვარში, ნადღესასწაულებს. არცერთ შემთხვევაში უფულოთ ყმაწვილი სწავლაზედ არ იქნება მიშვებული.

5) პანსიონერები, თუმც ესურვებათ მთელს წელიწადს (12 თვეს) დარჩებიან პანსიონში, მაგრამ, თუ ისურვენ მშობლებთან და ნათესავებთან წასვლას სადღესასწაულოთ და საზაფხულოთ, ორის თვით, ამ მიზეზით არ გამოერიცხებათ ფული. არც მაშინ გამოერიცხებათ ფული, რომ ავათ მყოფობის გამო ბავშვი სწავლას მოაკლდეს. მზრუნველი ამ მხრით ვალდებულია ყმწვილის მშობლების და ჭირის უფლების წინაშე მხოლოდ იმ შემთხვევში, თუ ყმაწვილი მოკლებული იქნება პანსიონსა, სწავლას მისის (მზრუნველის) მიზეზით.

6) მოსვლელები ჰსწავლობენ სასწავლებელში მხოლოდ სამასწავლო წლის განმავლობაში, ე. ი., დღესასწაულებზე და ზაფხულში ორ თვეს სწავლა არ ექნებათ, მაგრამ ფული მაინც არ გამოერიცხებათ. ავათმყოფობას და სხვა მიზეზებს, რომელნიც დამოკიდებულნი არ არიან მზრუნველზე, აქაც ის მნიშვნელობა აქვთ, როგორც ზევით არის ნათქვამი.

7) პანსიოლნერი მიიღება ქუთაისში მყოფის პირის თავდებობით: თუმც ზემოგოყვინილნი პირობეები ვერ შეასრულა ყმაწვილის ჭირის-უფალმა, ყმაწვილი თავდებმა უნდა ჩაიბაროს და მისს პატრონს ჩააბაროს.

8) ზარდა მომსვლელებისა და პანსიონრებისა ყმაწვილები მიიღებიან ნახევარპანსიონერებად. ისინი დარჩებიან სასწავლებელში დილიდამ სადილამდის, სადაც ექნებათ სწავლა და სადილი ამაეთ. უნდა შემოიტანონ ორასი მანეთი წლის ქირა, თანახმათ ზევით მოყვანილ პირობათა.

9) სასწავლებელი შესდგება ორის კლასისაგან. პირველი კლასი უდრის გიმნაზია მოსამზადებელს და მეორე გიმნაზიის პირველს კლასს.

პირველ კლასსში სწავლობენ:	მეორეში:
1) შემოკლებულ საღმრთო ისტორიას ძველისა და ახალ აღთქმისა, და ლოცვებს.	1) საღმთო ისტორიას ძველის აღთქმისა ერცლად და ლოცვებს
2) რუსულ ენას	2) რუსულ ენას
3) ქართულს	3) ქართულს
4) არითმეტიკას	4) ლათინურს, (ვისაც გიმნაზიაში გადასვლა ჰსურს)
5) წერას	5) ბეოგრაფიას
	6) არითმეტიკას
	7) ხატვას გეომეტრიულთა სხეულთა.

ქუთაისში მიიღებენ ყმაწვილებს საშუალ სასწავლებლების მესამე კლასამდინ მოსამზადებელად.

მსურველს შეუძლიან იკითხოს „ქოლხიდის“ სასტუმროში მადამ დიუპონი.

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ, თანახმად ქალაქის რჩევის 20 ივნისის გარდაწყვეტილებისა, სავაჭრო პოლიციის თითოეულს ბუდკაში არის ცალკე წიგნი ჩასაწერად საჩივრებისა იმ თფილისის ვაჭრებზე, რომელნიც სავაჭრო პოლიციის წესდებებს დაარღვევენ.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
უვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
უვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 26 აგვისტოს		
ერთი ანეთი ღირს:		
ლონდონში 24 ჰენსი.	—	78
პარიჟში 259 სანტიმი.	—	81
მსკონტი (სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი (პირველისესხი)	208	25
მოგებიანი (მეორე ესესხი)	208	75
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზან. ბანკისა.	—	--
ხერსონის ბანკის (5½)	85	25
მოსკოვის (5%). . .	85	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
კავკასის და მერკურის. .	225	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა

	ანნ	კაპ.
თფილისი, 31 აგვისტოს		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	45
ფქვილი წითელი. . .	1	30
ქერი ფუთი. . . .	1	—
ბამბა ერევნისა, ფუთი .	6	50
—ამერიკისა, ფუთი. .	8	—
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	50
მატყლი თუშური ფთ .	5	—
—თარაქამისა ფთ. .	3	40
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	5	—
ქონის სანთელი ფუთი.	6	40
სტეარინის სანთელი, ფ.	11	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	54
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	63
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	--
—ფხვნილი ფუთი . .	7	20
უავა გრგვალი, ფუთი .	32	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	8	50
ოქრო ½ იმპერიალი. .	7	80

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Сентября 1877 г. Типографія Меликова. ზამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი